ბრძანება

N 04/132

132-01-4-201805301359

30/05/2018

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 დეკემბრის №04/357 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის, მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „შპს „დიზაინ ჰაუსის“ (ს/კ.402041857) საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 დეკემბრის №04/357 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ თანდართული სახით.

2. დადასტურდეს შპს „დნას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რომელიც გამოიხატება სოციალურ ქსელ Facebook-ზე შპს „დიზაინ ჰაუსის“ რეპუტაციისა და ინტერესის შემლახველი ცნობების გავრცელებაში.

3. კანონდარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შპს „დნას“ დაევალოს - დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სოციალურ ქსელ Facebook-ის გვერდიდან იდენტური/მსგავსი პოსტის/პოსტების წაშლა, რომლებიც მომხმარებელს აწვდის არასწორ

ინფორმაციას შპს „დიზაინ ჰაუსის“ შესახებ და რომელიც შეეხება კომპანიის საქმიანობის შეჩერების, მისი უკანონო საქმიანობის ან გარანტიის გაუცემლობის საკითხებს.

4. შპს „დნამ“ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შესახებ კონკურენციის სააგენტოს წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა.

5. გადაწყვეტილება მისი დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის (რეგ: №03/160; 29/05/2018) მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ფერაძე

თავმჯდომარე - მ.შ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

“შპს „დიზაინ ჰაუსის“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ” საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 დეკემბრის №04/357 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

(„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე)

თბილისი
2018 წელი

სარჩევი

შესავალი 3

თავი I. ნორმატიული რეგულირება 5

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობის მიმოხილვა 5

ნაწილი 2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებები 7

თავი II. სააგენტოს შეფასება 8

ნაწილი 1. პროცედურული ანალიზი 8

ნაწილი 2. სააგენტოს შეფასება კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებით 9

2.1. საჩივარში მითითებული ცალკეული ქმედებების შეფასება 10

2.2. Facebook პოსტში დაფიქსირებული გარემოებები და მათი მიმართება კანონის 15

მე-11³ მუხლთან 15

თავი III. სარეზოლუციო ნაწილი 22

შესავალი

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“) 2017 წლის 26 დეკემბერის №04/357 ბრძანებით დაიწყო მოკვლევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევას საფუძვლად დაედო სააგენტოში, 2017 წლის პირველ დეკემბერს შპს „დიზაინ ჰაუსის“ (ს/კ.402041857) (შემდგომში - „მომჩივანი“) დირექტორის ლიანა ჩოხელის მიერ წარმოდგენილი №01/1020 დაზუსტებული საჩივარი, რომელიც ეხებოდა შპს „დნას“ (ს/კ.402049644) და შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ (ს/კ.401988248) (შემდგომში - „მოპასუხეები“) მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს.

საჩივრის მიხედვით, მოპასუხე კონკურენტი ეკონომიკური აგენტები სოციალური ქსელის მეშვეობით ავრცელებდნენ შპს „დიზაინ ჰაუსის“ საწინააღმდეგო განცხადებებს, მომხმარებლებს მოუწოდებდნენ, არ შეეძინათ კომპანიის კუთვნილი პროდუქცია და ახდენდნენ პირადად დირექტორის სახელისა და რეპუტაციის შელახვას. მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მომხმარებლებს აწვდიდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“ დაიხურებოდა უკანონო საქმიანობის განხორციელების გამო და ვერ შეძლებდა მათთვის საგარანტიო მომსახურების მიწოდებას.

საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „დიზაინ ჰაუსის“ დირექტორი - ლიანა ჩოხელი 2013 წლიდან დასაქმებული იყო შპს „დიმპლექს ჯორჯიაში“. 2016 წელს მან გადაწყვიტა კომპანიის დატოვება და საკუთარი კომპანიის დაარსება. მისივე ინფორმაციით, აღნიშნულის შემდეგ მოპასუხეთა მიერ მის წინააღმდეგ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- ვინაიდან ლიანა ჩოხელს შემოჰქონდა მსგავსი პროდუქცია სხვა მომწოდებლისაგან უფრო დაბალ ფასად, ამიტომ შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ დირექტორმა მის წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა ფინანსურ პოლიციაში;
- დამატებით, მოპასუხემ შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიმწოდებელს გაუგზავნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიანა ჩოხელი იყო „დამნაშავე“ და ამის საფუძველზე მიმწოდებელმა შპს „დიზაინ ჰაუსს“ შეუწყვიტა პროდუქციის მიწოდება;
- შპს „დიზაინ ჰაუსმა“ მოიძია ახალი მიმწოდებელი და შემოიტანა პროდუქცია საკმაოდ დაბალ ფასად, ხოლო მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დაიწყო მის წანააღმდეგ განცხადებების გავრცელება სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ვინაიდან შპს „დნას“ დირექტორი არის შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ დირექტორის მეუღლე, მათ ერთობლივად დაიწყეს ცრუ ინფორმაციის გავრცელება და მომხმარებლის

დაშინება, რომ თუ რაიმეს შეიძენდნენ შპს „დიზაინ ჰაუსში“, ვერ მიიღებდნენ საგარანტიო მომსახურებას;

- მოპასუხეებმა შპს „დიზაინ ჰაუსს“ შეუგზავნეს აუდიტი;
- ადგილი ჰქონდა შპს „დიზაინ ჰაუსის“ მაღაზიაში მოპასუხეების „მივარდნის“ ფაქტს, როდესაც ფიზიკურად გაუსწორდნენ ლიანა ჩოხელის მეგობარს ლიანა ჯავახიშვილს (ამ უკანასკნელმა პოლიციაში შეიტანა საჩივარი ცოლ-ქმრის წინააღმდეგ);
- მოპასუხეებმა სთხოვეს სავაჭრო ცენტრის დაცვას და ადმინისტრაციას შპს „დიზაინ ჰაუსის“ შენობიდან გაძევება;
- მეუღლეები შპს „დიზაინ ჰაუსის“ საწინააღმდეგო ინფორმაციას ავრცელებდნენ იმ კომპანიებთან, რომლებთანაც თანამშრომლობდა და პროდუქციას აწვდიდა შპს „დიზაინ ჰაუსი“.

მომჩივანმა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული ქმედებების დასადასტურებლად წარმოადგინა სოციალური ქსელის - Facebook-ის მეშვეობით გავრცელებული ქვემოთ მოცემული ე.წ პოსტი (დანართი №1):



დანართი №1

საჩივრის შესწავლის პროცესში გამოკვეთილი საკითხების დაზუსტების მიზნით, სააგენტომ ინფორმაცია გამოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურისგან (რეგ.№02/18; 18.01.2018 და რეგ.№02/230; 27.02.2018) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისგან (რეგ.№02/1; 18.01.2018 და რეგ.№02/556; 17/04/2018). ინფორმაციის მოწოდება ეთხოვათ Dimplex-ის ფირმის ოფიციალურ წარმომადგენლებსაც (რეგ.№02/306; 12.03.2018 და რეგ.№02/332; 26.03.2018).

2018 წლის 22 იანვარს სააგენტოში შემოვიდა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის წერილი (რეგ.№01/28), სადაც აღნიშნულია, რომ შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიმართ, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2017 წლის 13 ნოემბრის №30202 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობდა კამერალური საგადასახადო შემოწმება. შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 9 მარტის წერილით (რეგ.№01/191) სააგენტოს ასევე მიეწოდა ინფორმაცია შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ელექტრო ბუხრების იმპორტის ოპერაციების შესახებ.

2018 წლის 30 იანვარს სააგენტომ მიიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საპასუხო წერილი (რეგ.№01/38), რომლის თანახმადაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე, შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტზე. თუმცა, რამდენადაც სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და დოკუმენტების მიღების უფლება აქვს მხოლოდ დაცვის მხარეს, სააგენტოს განემარტა, რომ უწყება მოკლებულია შესაძლებლობას, სააგენტოს წარუდგინოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამავე უწყების დამატებითი წერილის მიხედვით (რეგ.№01/357; 25/04/2018), საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

თავი I. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი“) პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კანონი ადგენს თავისუფალი და

სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის მესამე მუხლი განმარტავს ეკონომიკური აგენტის ცნებას, რომლის მიხედვითაც **„ეკონომიკური აგენტი“** არის პირი, რომელიც განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას (პუნქტი „ა“). ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, **„კონკურენცია“** არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. მომჩივანი არის ის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს კონკურენციის სააგენტოს (პუნქტი „ო“).

კანონის მე-11^3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

ნაწილი 2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებები

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო.

სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია „საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას“. ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოუდგენლობისათვის.

კანონის 27-ე მუხლი ადგენს ამ კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც განისაზღვრება დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წლით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განმცხადებელი და მხარეები ვალდებულნი არიან, სააგენტოს მიაწოდონ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აღნიშნული წესის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

თავი II. სააგენტოს შეფასება

ნაწილი 1. პროცედურული ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე საქმის **მოკვლევა დაწყებულია საჩივრის საფუძველზე.** საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევა კი, პროცედურული თვალსაზრისით, გარკვეულწილად, განსხვავდება განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევისაგან. კერძოდ, კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელი მხარედ არ განიხილება - განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებისას, მოკვლევის მხარეა თავად სააგენტო. კონკურენციის კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ეს უკანასკნელი თავად განსაზღვრავს მოპასუხე მხარეს და აძლევს მას პოზიციის წარმოდგენის საშუალებას. სააგენტოს ასევე შეუძლია, საჭიროების შესაბამისად, იმსჯელოს განცხადებაში დასმული საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მიმართულებით, რათა გამოავლინოს დარღვევები, რომლებიც მართალია პირდაპირ შეიძლება არ ფიქსირდებოდეს კონკრეტულ განცხადებაში, მაგრამ გამომდინარეობდეს მისგან, ან გამოვლინდეს საქმის გარემოებების შესწავლისას. ამ შემთხვევაში სააგენტო ირგებს როგორც მხარის, ისე მარეგულირებლის როლს. მას, როგორც მხარეს, ეძლევა მოკვლევის ფარგლების განსაზღვრის თავისუფლება, იმ პირობით, რომ შეინარჩუნებს მარეგულირებლის ობიექტურობას და გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის სრული დაცვით.

შედარებისთვის, საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტო მხოლოდ მარეგულირებლის როლშია, ხოლო მხარეებს მომჩივანი და მოპასუხე წარმოადგენენ. კონკურენციის კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის შემომტანი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც.

მოკლებულია რა მხარის როლის შესრულების შესაძლებლობას, საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს აღარ აქვს ის უფლებამოსილებები საკვლევი საკითხების განსაზღვრის კუთხით, რაც მას გააჩნია განცხადების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებში - აღნიშნული უფლებამოსილება მომჩივანს ეკუთვნის. ეს იმას ნიშნავს,

რომ სწორედ მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, იღებს სავარაუდო დარღვევის სახის მითითების ვალდებულებას და პასუხისმგებელია როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურებაზე, მათ შორის, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით. ამავდროულად, მოპასუხეს ევალება მომჩივანის არგუმენტაციის შესაბამისი მტკიცებულებებით გაბათილება.

რა თქმა უნდა, სააგენტოს საჩივრის საფუძველზე დაწყებული მოკვლევის ფარგლებშიც აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები - მას შეუძლია, დააზუსტებინოს მომჩივანს საკუთარი მოთხოვნა და მოპასუხეთა წრე, მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაცია გამოითხოვოს როგორც მხარეებისგან, ასევე მესამე პირებისგან, მიიღოს ახსნა-განმარტებები და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე მოკვლევის ფარგლებში საქმის გარემოებების განხილვისას, სააგენტო შემოიფარგლა საჩივარში დასმული საკითხებით.

ნაწილი 2. სააგენტოს შეფასება კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებით

კანონის მე-11³ მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს;

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს;

დ) სახეზე უნდა იყოს მე-11³ მუხლით განსაზღვრული კონკრეტული ქმედება.

ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს: კანონის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან

პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, პოტენციური ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ტერმინს „მომხმარებელი“, თუმცა, აღნიშნული ცნება განმარტებულია ევროკავშირის კანონმდებლობით. *კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“* მომხმარებელს განმარტავს, როგორც *„ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“. (Article 2(a)).*

დ) სახეზე უნდა იყოს მე-11³ მუხლით განსაზღვრული კონკრეტული ქმედება: და ბოლოს, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად კვალიფიკაციისთვის, ქმედება უნდა ემთხვეოდეს კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემადგენლობას.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივარში დაფიქსირებული და მოკვლევის განმავლობაში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააგენტომ იმსჯელა კანონის მე-მე-11³ მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაძლო დარღვევაზე. თავის მხრივ, აღნიშული ქვეპუნქტი მოიაზრებს ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას.

2.1. საჩივარში მითითებული ცალკეული ქმედებების შეფასება

2.1.1. გამოძიება სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე

როგორც მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე, შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტზე. მოპასუხე

მხარეებიც ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ლიანა ჩოხელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა თაღლითობის და ქურდობის ბრალდებით (რეგ.№02/114; 23.02.2018). საკითხის დაზუსტების მიზნით, სააგენტომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისგან (რეგ.№02/19; 18.01.2018) გამოითხოვა საქმესთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია, თუმცა, საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით (რეგ.№01/38; 30.01.2018), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ დაცვის მხარეს (ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი). ამდენად, საგამოძიებო სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, სააგენტოსათვის მოეწოდებინა სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე არსებული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია. სააგენტომ კვლავ გამოითხოვა ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან (რეგ.№02/556; 17.04.2018) და მიმართა კითხვით, დასრულდა თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე და რა შედეგი მოჰყვა მას. საპასუხო წერილი სააგენტოში შემოვიდა 2018 წლის 25 აპრილს, (რეგ.№01/357) სადაც მითითებული იყო, რომ <u>სისხლის სამართლის №092190917002 საქმეზე გამოძიება არ არის დასრულებული, ლიანა ჩოხელი გამოკითხულია მოწმის სახით და საქმის გარემოებათა სრულყოფილი გარკვევის მიზნით ინტენსიურად ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.</u>

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოსათვის ცნობილი გახდა ზოგადი ინფორმაცია სისხლის სამართლის №092190917002 საქმის მიმდინარეობის შესახებ, სააგენტო ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დაწყებული მოკვლევის მიზნებისათვის, კონკურენციის სააგენტოსათვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს კონკრეტული გარემოება - განსახილველ შემთხვევაში, ლიანა ჩოხელის წინააღმდეგ ფინანსურ პოლიციაში საქმის მიმდინარეობის ფაქტი - რაც, მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს. ხოლო, სისხლისსამართლებრივი საქმის ფარგლებში პირის ბრალეულობის შეფასება არ შედის სააგენტოს კომპეტენციაში და წარმოადგენს საგამოძიებო სამსახურის პრეროგატივას. ამასთან, აღნიშნულ გარემოებას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა სააგენტოს მიერ მოპასუხე მხარის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის შეფასების მიზნებისათვის.

2.1.2. შპს „დიზაინ ჰაუსის“ კამერალური საგადასახადო შემოწმება

მომჩივანი მხარის ინფორმაციით, მოპასუხეებმა შპს „დიზაინ ჰაუსს“ „შეუგზავნეს“ აუდიტი. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 22 იანვრის წერილის მიხედვით (რეგ. №01/28; 22.01.2018), შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიმართ, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2017 წლის 13 ნოემბრის №30202 ბრძანების საფუძველზე, მართლაც მიმდინარეობს კამერალური საგადასახადო შემოწმება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, კამერალური საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ბრძანების საფუძველზე, ამ ბრძანებით განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხზე. ამავე მუხლის თანახმად, კამერალური საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა. თუ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგად გამოვლენილი შეცდომები იწვევს გადასახადის თანხის ცვლილებას, კამერალური საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო შემოწმების აქტს.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის შედეგად, აშკარაა, რომ სწორედ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას წარმოადგენს გადამხდელის კამერალური შემოწმება და შესაბამისი აქტის შედგენა. ამასთან, შემოსავლების სამსახურის ხსენებული ქმედება (შემოწმების პროცედურის დაწყება) ვერ იქნება განხილული, როგორც მოპასუხე მხარის მიერ გამოწვეული თუ პროვოცირებული ქმედება, რადგან, აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო უწყების უფლებამოსილებას წარმოადგენს. ხოლო, საგადასახადო შემოწმების მიზნობრიობისა და მისი კანონიერების შეფასება სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს, რადგან კონკურენციის სააგენტო არ წარმოადგენს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც შეუძლია იმსჯელოს შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე.

2.1.3. შპს „დიზაინ ჰაუსის“ კუთვნილ მაღაზიაში მოპასუხეების „მივარდნის“ ფაქტი

საჩივრის მიხედვით, მოპასუხეების მხრიდან ადგილი ჰქონდა შპს „დიზაინ ჰაუსის“ მაღაზიაში ე.წ „მივარდნის“ ფაქტს, როდესაც ფიზიკურად გაუსწორდნენ ლიანა ჩოხელის მეგობარს - ლიანა ჯავახიშვილს, ხოლო ამ უკანასკნელმა პოლიციაში შეიტანა საჩივარი ცოლ-ქმრის წინააღმდეგ. აღნიშნულის დასადასტურებლად, მომჩივანმა მხარემ სააგენტოს

წარუდგინა ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების 2017 წლის 22 მაისის №MIA01701204389 წერილი (რეგ. №01/120; 26.02.2018). მასში დაფიქსირებული იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ განყოფილების მიერ განხილული იქნა მოქალაქე ლიანა ჯავახიშვილის 2017 წლის 25 აპრილის №973313 გაცხადებაში დასმული საკითხები, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი არ შეიცავდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით, მითითებულ განცხადებაზე გამოძიება არ დაწყებულა.

იმის მიუხედავად, დაიწყო თუ არა შესაბამისი სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ გარემოებას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა სააგენტოს მიერ მოპასუხე მხარის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის შეფასების მიზნებისათვის, ვინაიდან აღწერილი ქმედების შემადგენლობა სცილდება კანონის მე-11[3] მუხლით დარეგულირებულ ფარგლებს.

2.1.4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ლიანა ჩოხელი 2013 წლიდან მუშაობდა შპს “დიმპლექს ჯორჯიაში“ და შემდგომში შეწყდა მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. თუმცა, როგორც მოკვლევის პროცესში გამოვლინდა, დამსაქმებელი და დასაქმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერ საფუძველს სადავო საკითხად განიხილავენ. კერძოდ, მომჩივანი მხარე სააგენტოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში (ახსნა-განმარტების ოქმი №1) აფიქსირებს შემდეგ პოზიციას: *„კონსულტანტი ვიყავი, 2013 წლიდან 2016 წლამდე. ბუღალტერი ყავდა მოპასუხე კომპანიას, შესაბამისად არ მქონია შეხება ფინანსურ საკითხებთან, ან სხვა რაიმე კომერციულ საიდუმლოსთან“ […] „მე რომ წამოვედი დიმპლექს ჯორჯიას კომპანია დალუქული იყო. კონკურენტ კომპანიასთან შრომითი ურთიერთობა მქონდა გაფორმებული, რუსული ხელშეკრულება იყო და მასში არ მახსოვს რა მოვალეობები იყო გაწერილი ჩემთვის. 2016 წელს დირექტორს ჩავაბარე განცხადება, თუმცა მაშინვე წამოსვლა ვერ შევძელი, რადგან იგი მეუღლის გარეშე არ იღებდა გადაწყვეტილებას და ელოდებოდა მის ჩამოსვლას. შესაბამისად, დროში გაიწელა განცხადების დაკმაყოფილება.*

მეილიც გავუგზავნე, მივწერე რომ წასვლა მინდოდა, ამასთან ისიც ვუთხარი, რომ რაღაცის გახსნას ვაპირებდი“ […] „თუმცა, ისე წამოვედი რომ მათ ხელიც კი არ მოუწერიათ განთავისუფლების განცხადებაზე.“

მომჩივანს ეთხოვა აღნიშნული მიმოწერის წარდგენა, თუმცა, მხარემ ვერ უზრუნველყო ინფორმაციის მიწოდება. სააგენტოსთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მას არ შეეძლო იმ წერილების მოძიება, რომლებიც შეეხებოდა მისი სამსახურიდან განთავისუფლების საკითხს, *ვინაიდან საკონტაქტო სკაიპი ეკუთვნოდა მოპასუხეს, ხოლო მიმოწერისას მას საკუთარი სკაიპით არ უსარგებლია.* (რეგ.№01/120; 26.02.2018).

მოპასუხე მხარის მიერ სააგენტოსათვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (ახსნა-განმარტების ოქმი №2), ლიანა ჩოხელი 2013 წლის 15 ნოემბრიდან მუშაობდა შპს „დიმპლექს ჯორჯიაში“ მანამ, სანამ მოპასუხეებისათვის არ გახდა ცნობილი, რომ მან შექმნა შპს „დიზაინ ჰაუსი“ და დაიწყო მუშაობა კუთვნილ კომპანიაში. მოპასუხე მხარის წარმომადგენლის პოზიციით, შრომითი ხელშეკრულება შეიცავდა შესაბამის მუხლს, რომლის თანახმადაც, დასაქმებულისათვის *„სამსახური წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს და დაუშვებელია პარალელურად დამატებითი სამსახური“.* აღნიშნულის მტკიცებულებად, მოპასუხე მხარემ სააგენტოში წარმოადგინა შპს „დიმპლექს ჯორჯიასა“ და ლიანა ჩოხელს შორის, 2013 წლის 15 ნოემბერით დათარიღებული №1 შრომითი ხელშეკრულების ასლი. გარდა ამისა, მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მტკიცებით, ლიანა ჩოხელს სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნით მოპასუხისათვის *„არ მიუმართავს, ეს იყო სრული შოკი. იგი ხელფასს იღებდა დიმპლექსიდან მაშინ როდესაც მას უკვე დაარსებული ჰქონდა მისი კუთვნილი კომპანია […] აღსანიშნავია, რომ იჯარის თანხის გადახდა, რომელიც არაპირდაპირ ევალებოდა ლიანა ჩოხელს, არ გადაუხდია. ამის გამო კომპანიას დაედო ყადაღა. არსებობს ოქმი, რომელსაც წარმოგიდგენთ, რომელიც ადასტურებს იმას, რომ 2017 წელს იგი ნამდვილად მუშაობდა შპს“ დიმპლექს ჯორჯიაში“ და პარალელურად საქმიანობას ახორციელებდა მისსავე კომპანიაში. ეს არის ყადაღის მოხსნის ოქმი“.*

აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად, მოპასუხე მხარემ სააგენტოს წარუდგინა (რეგ.№01/285; 29.03.2018) 2017 წლის 11 აპრილით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ლიანა ჩოხელი, როგორც შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ წარმომადგენელი. აქტის თანახმად, თბილისის სააღსრულებლო ბიუროს მიერ, 2017 წლის 17 მარტს დაყადაღებული ქონება უკან დაუბრუნდა მესაკუთრეს, შპს „დიმპლექს ჯორჯიას“.

როგორ წარდგენილი ინფორმაციიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ერთპიროვნულად შეწყვეტის საკითხი, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონი არ ვრცელდება შრომით ურთიერთობაზე, შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო, მოქმედებს რა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, არ წარმოადგენს შრომითი დავების განმხილველ ორგანოს. ამდენად, წინამდებარე საკითხის შეფასება სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს.

2.*2.* Facebook პოსტში დაფიქსირებული გარემოებები და მათი მიმართება კანონის მე-11³ მუხლთან

წინამდებარე Facebook პოსტის (დანართი №1) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ე.წ პოსტში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები. როგორც შპს „დნას“ დამფუძნებელმა - ნატალია ძიძიშვილმა Facebook პოსტთან დაკავშირებით მიუთითა, ხსენებული პოსტი მან დაწერა შპს „დნას“ სახელით. ალექსანდრე ძიძიშვილს (შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ დამფუძნებელი) არანაირი კავშირი არ აქვს მასთან. მან ამის შესახებ არც კი იცოდა, იქიდან გამომდინარე, რომ ის იმ დროს იმყოფებოდა საავადმყოფოში ოპერაციის შემდეგ“ (რეგ. №01/297, 05.04.2018). შესაბამისად, ამ ნაწილში, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს შპს „დნა“.

Facebook პოსტში დაფიქსირებული გარემოებები:

ა) “Dimplex-ის” პროდუქციის ***„ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე არის შპს „დნა“:***

- **მომჩივანი ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით** - შპს „დიზაინ ჰაუსსა“ და EASTCLIMATE LLP-ს შორის (EASTCLIMATE LLP არის იგივე Торговый Дом «Белая Гвардия» (www.tdbg.ru), რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილ პირს გაყიდოს Dimplex-ის ფირმის პროდუქცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე) [redacted] თუმცა სააგენტოში წარმოდგენილი ხელშეკრულება არ არის სრულყოფილი სახის - არ შეიცავს არც ხელშეკრულების საგანს, არც ხელშემკვრელი მხარეების ხელმოწერას და არც ბეჭედს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი

ნაწილის მიხედვით, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. შესაბამისად ზემოთ ხსენებული მუხლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლიანა ჩოხელს შესაძლებელია გაფორმებული ჰქონოდა ხელშეკრულება ზეპირი ფორმითაც. რაც მთავარია, შპს „დიზაინ ჰაუსსა“ და EASTCLIMATE LLP-ს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას ადასტურებს შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიერ განხორციელებული იმპორტის ოპერაციები[redacted]

დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზენით, სააგენტოს მიერ წერილები გაიგზავნა „Glen Dimplex”-ის (რეგ.№02/306; 12.03.2018) და Торговый Дом «Белая Гвардия»-ის (რეგ.№02/332; 26.03.2018) წარმომადგენლებთან. სააგენტოს მიზანი იყო იმის დადგენა, თუ როდის მოხდა მომჩივანსა და Dimplex-ს ფირმის ოფიციალურ წარმომადგენლობას შორის ხელშეკრულების გაწყვეტა, რა გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი და ა.შ თუმცა, სააგენტოს მცდელობის მიუხედავად, Торговый Дом «Белая Гвардия» წარმომადგენლისაგან არ შემოსულა საპასუხო კორესპონდენცია (2018 წლის 28 მაისის მდგომარეობით). ამასთან, 2018 წლის 23 მაისს „Glen Dimplex”-ისგან სააგენტოში შემოვიდა წერილი(რეგ.№01/433)[1], რომლის მიხედვითაც, *„საქართველოში რეგისტრირებულ კომპანია „დიზაინ ჰაუსს“ შეცდომაში შეყავს მომხმარებელი და ეწევა საქმიანობას, როგორც Dimplex-ის ფირმის ელექტრო ღუმელების ოფიციალური და ავტორიზებული დისტრიბუტორი. ამასთან, „დიზაინ ჰაუსი“ არალეგალურად აყალბებს Dimplex-ის პროდუქციას ალტერნატიული მომმარაგებლისაგან მსგავსი პროდუქციის შესყიდვის გზით და ახდენს ამგვარი პროდუქციის ეტიკეტირებას ყალბი ეტიკეტებით, შეცდომით წარმოაჩენს რა, რომ პროდუქცია წარმოებულია Dimplex-ის მიერ. ასევე, პროდუქტი, რომელსაც ისინი სთავაზობენ მომხმარებელს ამ ვებ-გვერდის საშუალებით, არის ყალბი [...] დიზაინ ჰაუსი არ არის და არც არასოდეს ყოფილა Dimplex-ის პროდუქტების ოფიციალური რეალიზატორი ან დისტრიბუტორი [...] „დიზაინ ჰაუსი“ არაკანონიერად იყენებს Dimplex-ის ბრენდს, ხოლო ელექტრო ღუმელები, რომლის რეალიზაციასაც ახდენს „დიზაინ ჰაუსი“ არ არის წარმოებული, შექმნილი და დატესტილი Dimplex-ის მიერ და შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს სერიოზულ საფრთხეს, გამოიწვიოს ხანძარი, სიცოცხლის მოსპობა და მნიშვნელოვნად შელახოს Dimplex-ის რეპუტაცია.“*

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია - მოპასუხის მიერ წარმოდგენილია 2018 წლის 16 მარტით დათარიღებული წერილი (რეგ.№01/239; 20.03.2018), სადაც ნათქვამია, რომ შპს „დნა“ წარმოადგენს Dimplex-ის ფირმის ოფიციალურ

[1] აღნიშნული წერილის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ წარმომადგენელმა სააგენტოს წარუდგინა 2018 წლის 25 მაისის შემაჯამებელ სხდომაზე;

წარმომადგენელს საქართველოს ტერიტორიაზე 2017 წლიდან. ამასთან, მოპასუხე მხარის მტკიცებით (რეგ.№01/285; 29.03.2018), ლიანა ჩოხელმა მოტყუებით (მაღაზია Gorgia-ს დირექტორად გაასაღა თავი) მიიღო საქონელი მომწოდებლისგან, ხოლო როდესაც მომწოდებელმა გაიგო მისი ტყუილის შესახებ, «Белая Гвардия»-ს დირექტორის მიერ 2017 წლის მაისში მას უარი ეთქვა ბუხრების მიწოდებაზე.

აღსანიშნავია, რომ ლიანა ჩოხელი სააგენტოსათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში (ოქმი №1) ადასტურებს EASTCLIMATE LLP-სა და მის კომპანიას შორის ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტს - რაც პროდუქციის მიუწოდებლობაში გამოიხატა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს რომ შპს „დიზაინ ჰაუსის“ მიერ Dimplex-ის ფირმის პროდუქციის იმპორტის ბოლო ოპერაციის განხორციელების შემდეგ პერიოდში [redacted] აღარ გაგრძელებულა მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. შესაბამისად, სააგენტოს მიერ, საორიენტაციოდ, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნებისათვის, სწორედ ეს თარიღი [redacted] იქნა მიჩნეული.

ზემოაღნიშნულისა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, Facebook „პოსტის“ გავრცელების თარიღისათვის, კერძოდ, 2017 წლის 25 ნოემბრისათვის, Dimplex-ის პროდუქციის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც წარმოადგენდა შპს „დნა“, ხოლო შპს „დიზაინ ჰაუსს“ აღარ ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობა EASTCLIMATE LLP-სთან. ამდენად, პოსტში არსებული ეს კონკრეტული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს იმ თვალსაზრისით, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“ პოსტის გავრცელების პერიოდისათვის აღარ იყო Dimplex-ის პროდუქციის ოფიციალური წარმომადგენელი. თუმცა, სააგენტოსთვის არ არის ცნობილი, შპს „დნას“ გარდა EASTCLIMATE LLP-ს ჰყავს თუ არა სხვა წარმომადგენელი.

ბ) ***„ლიანა ჩოხელზე ფინანსურ პოლიციაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე“*** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ლიანა ჩოხელის წინააღმდეგ ნამდვილად მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის N092190917002 საქმეზე - თაღლითობისა და ქურდობის ბრალდებით. შესაბამისად, შპს „დნას“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ამ კონკრეტულ საკითხზე შეესაბამება სიმართლეს. ამასთან, საგამოძიებო უწყების მიერ 2018 წლის 25 აპრილს მიწოდებული ინფორმაციით (რეგ.№01/357) შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები კვლავ მიმდინარეობს და შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

გ) შპს „დიზაინ ჰაუსი“ ***„ეწევა უკანონო საქმიანობას“*** - მართალია, ე.წ „პოსტის“ გავრცელების თარიღისათვის Dimplex-ის პროდუქციის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენდა შპს „დნა“, თუმცა, პოსტში არსებული ჩანაწერი

ზოგადი ხასიათისაა. ამასთან, მოპასუხე არ აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება მომჩივანი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის უკანონობა. იგი ხაზს უსვამს არა იმ გარემოებას, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“ არ წარმოადგენს Dimplex-ის პროდუქციის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმას, რომ იგი ზოგადად ეწევა უკანონო საქმიანობას. შესაბამისად, კონკურენტი კომპანიის მისამართით გამოთქმული მსგავსი ბრალდება გონივრული თვალსაზრისით, საშუალო სტატისტიკური მომხმარებლისთვის, აღქმული იქნება იმგვარად, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“, როგორც კომპანია საქმიანობს უკანონოდ, - მაშინ როდესაც არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება და უფლებამოსილი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომპანიის საქმიანობის უკანონოდ მიჩნევის შესახებ. დადასტურებული ფაქტია, რომ შპს „დიზაინ ჰაუსი“ EASTCLIMATE LLP-სთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სხვა ქვეყნებიდანაც ახორციელებს ელექტრო ბუხრების შემოტანას. შესაბამისად, მოპასუხე კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შპს „დიზაინ ჰაუსის“ უკანონო საქმიანობის შესახებ არ შეესაბამება სიმართლეს.

დ) ***„მისი საქმიანობა იქნება შეჩერებული“*** - ფაქტია, რომ მოპასუხის მიერ 2017 წლის 25 ნოემბრის Facebook გვერდზე გავრცელებული „პოსტის“ შემდეგ, საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ლიანა ჩოხელის კუთვნილი მაღაზია დღემდე ფუნქციონირებს და მისი საქმიანობა არავის შეუჩერებია. შესაბამისად, პოსტით გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და მისი კონტექსტიდან გამომდინარე, მომხმარებლისთვის - რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რომ იყიდოს ელექტრო ბუხარი სავაჭრო ცენტრ „ქარვასლას“ ტერიტორიაზე მდებარე ლიანა ჩოხელის მაღაზიაში - იწვევს საწარმოზე არასწორი შეხედულების შექმნას.

ე) მომხმარებლები ვერ მიიღებენ საგარანტიო მომსახურებას - პოსტში არსებული ინფორმაცია კომპანიის მიერ გარანტიის მიცემის შეუძლებლობის თაობაზე, არის ზოგადი ხასიათის და არ იძლევა იმის იდენტიფიცირების საშუალებას, თუ რა ფირმის პროდუქციის საგარანტიო მომსახურეობაზეა საუბარი. მომჩივანი მხარის ინფორმაციით, შპს „დიზაინ ჰაუსს“ უშუალოდ Dimplex-ის პროდუქციაზე გარანტიის გაცემა შეეძლო 6 თვის ვადით და ეს დრო უკვე ამოიწურა, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კომპანია ახორციელებს სხვა ფირმის ელექტრონული ბუხრების რეალიზაციასაც, ხოლო, მათზე გათვალისწინებულია ერთწლიანი საგარანტიო მომსახურება (რეგ:№01/371, 02.05.2018). შესაბამისად, პოსტის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, მასში დაფიქსირებული ინფორმაცია მეტყველებს

უშუალოდ კომპანიის მიერ გარანტიის გაცემის შეუძლებლობაზე, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის შესაბამისად, 2018 წლის 25 მაისს, სააგენტოში ჩატარდა შემაჯამებელი სხდომა. შემაჯამებელ სხდომაზე, შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ წარმომადგენელმა, დააფიქსირა პოზიცია, რომ საჩივარში მოცემული მტკიცებულება - Facebook-ის ე.წ პოსტი უკვე წაშლილი იყო. მოკვლევის ჯგუფის მიერ, 2018 წლის 28 მაისს გადამოწმდა აღნიშნული განცხადების ნამდვილობა. როგორც სოციალური ქსელის შემოწმების შედეგად გამოვლინდა, Dimplex Georgia-ს გვერდზე კვლავ განთავსებულია და იძებნება 2017 წლის 25 ნოემბრის პოსტი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 24 მაისს გამოქვეყნებულ იქნა პოსტი, რომელშიც მითითებულია, რომ მოპასუხე ხსნის 25.11.2017 წლის პოსტს, გამოძიების მიმდინარეობის გათვალისწინებით. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული პოსტი Facebook-ზე კვლავ იძებნება, იგი სააგენტოს მიერ ვერ ჩაითვლება „მოხსნილად“.

შეფასება:

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „დიზაინ ჰაუსი“ არის მოქმედი კომპანია, რომელიც წარმოადგენს მეწარმე სუბიექტს, მისი დამფუძნებელი - ლიანა ჩოხელი, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას - ელექტრო ბუხრების სფეროში. უფრო კონკრეტულად კი, იგი ახდენს სხვადასხვა ტიპის ელექტრო ბუხრების იმპორტსა და რეალიზაციას, ამასთან, კომპანია, მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აღებული რისკის გათვალისწინებით, მომხმარებელს სთავაზობს საგარანტიო მომსახურებას. ამდენად, მოპასუხე კომპანიის მიერ Facebook პოსტით ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შპს „დიზაინ ჰაუსის“ უკანონო საქმიანობას, მისი საქმიანობის შეჩერებას ან/და მის მიერ საგარანტიო მომსახურების გაწევის შეუძლებლობას შეეხება, არ შეესაბამება სიმართლეს და მისი შეფასება უნდა განხორციელდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით:

ა) რამდენად ეწინააღმდეგება გავრცელებული Facebook პოსტი საქმიანი ეთიკის ნორმებს და აზიანებს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს - სააგენტო მიიჩნევს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება

კეთილსინდისიერების პრინციპს. მხედველობაშია მისაღები კომერციული საქმიანობის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპი, რომლის თანახმადაც, სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ კონკრეტული კანონისმიერი საფუძვლის არსებობისას.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე კომპანიას არ ჰქონდა კონკურენტი კომპანიის საქმიანობაში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი, ხოლო, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ ეფუძნებოდა რეალურ ფაქტობრივ მონაცემებს და არის ნეგატიური ხასიათის. ამდენად, მსგავსი ქმედება მიჩნეულ იქნა ეთიკის ნორმების, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ.

მეორეს მხრივ, კონკურენტის მიმართ გამოხატული კეთილსინდისიერი სამეწარმეო ქცევა, ასევე გულისხმობს ისეთი მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, რომელიც აზიანებს მის ინტერესებს. განსახილველ შემთხვევაში, შპს „დიზაინ ჰაუსი“ და შპს „დნა“ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს, ისინი მოქმედებენ ერთსა და იმავე სასაქონლო ბაზარზე, კერძოდ, მხარეები ახორციელებენ ელექტრო ბუხრების რეალიზაციას. ამდენად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება ლახავს ამ უკანასკნელი კომპანიის ინტერესს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მაღალი ალბათობით, მათი პოტენციური მომხმარებლები წარმოადგენენ ერთსა და იმავე სუბიექტებს. შესაბამისად, აღნიშნულმა „პოსტმა“ შელახა მომხმარებლის ინტერესებიც - მათთვის კომპანიაზე არასწორი შეხედულების შექმნის გზით, მაშინ როდესაც მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის საშუალება - მათთვის მისაღები პროდუქცია შეიძინონ ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი კომპანიისგან, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას პროდუქციის ხარისხითა და ფასით.

ბ) რაც შეეხება კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელემენტებს - სააგენტომ იმსჯელა, თუ რამდენად წარმოადგენდა Facebook გვერდზე განთავსებული პოსტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია მომჩივანის რეპუტაციის შემლახავ მოცემულობას - მის საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნის საფუძველს, ან/და მომჩივანის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას.

სააგენტოს განმარტებით, კომპანიის ან მისი პროდუქტის დისკრედიტაცია და რეპუტაციის შელახვა, შესაძლებელია, განხორციელდეს რამდენიმე გზით, მათ შორის, კომპანიის პროდუქციის შესახებ არამართებული და ნეგატიური ცნობების გავრცელებით, ან კომპანიის იმიჯის დაზიანებით.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „დიზაინ ჰაუსი“ წარმოადგენს ელექტრო ბუხრების რეალიზატორ მოქმედ კომპანიას, მისი საქმიანობა არ არის შეჩერებული და მის მიერ უკანონო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი სათანადო ფაქტებით გამყარებული მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი. თავის მხრივ, ელექტრო ბუხრების მომხმარებლისთვის კომპანიის Facebook გვერდი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან, მხარეთა პოტენციურ მომხმარებელთა წრე, მაღალი ალბათობით, არის ერთი და იგივე. შესაბამისად, მომხმარებელი, რომელიც დაინტერესებულია ელექტრო ბუხრის შეძენით და მიიღებს ნეგატიურ ინფორმაციას ანალოგიური პროდუქციის რეალიზატორი სხვა კომპანიის შესახებ, ბუნებრივია აღარ მოინდომებს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას.

აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს მოპასუხე. შპს „დნას“ მესაკუთრემ, ნატალია ძიძიშვილმა, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წერილის სახით, აღნიშნა, რომ *„უკანონო ქმედება დიზაინ ჰაუსის გამოიხატება იმაში, რომ 2017 წლის 25 ნოემბერს ის არ იყო Dimplex-ის წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ნახევარი წელი, თუ ის შეძლებს დაამტკიცოს საწინააღმდეგო, ჩვენ იმ დღესვე წავშლით ჩვენს პოსტს“.*

მართალია, Facebook პოსტის გავრცელების თარიღისათვის, შპს „დიზაინ ჰაუსი“ აღარ იყო Dimplex-ის წარმომადგენელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას უშუალოდ ამ ფირმის პროდუქციის შემოტანის უფლება, ის როგორც დამოუკიდებელი საწარმო ბაზარზე მოქმედებდა კანონიერად (მოქმედებდა კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით) და მომხმარებლებს სთავაზობდა შესაბამის პროდუქციას მის მიერ აღებული სამეწარმეო რისკის გათვალისწინებით.

ამდენად, Facebook პოსტში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება კომპანიის მიერ საქმიანობის შეჩერების, მისი უკანონო საქმიანობის ან გარანტიის გაუცემლობის საკითხებს, არ არის დადასტურებული და წარმოადგენს კონკურენტის რეპუტაციის შემლახველ ნეგატიურ ქმედებას. ამასთან, პოსტის ზოგადი ხასიათის გათვალისწინებით, ინფორმაცია მიემართება არა მხოლოდ Dimplex-ის პროდუქციას, არამედ, ზოგადად, კომპანიის საქმიანობას. ამდენად, ის იწვევს შპს „დიზაინ ჰაუსის“ საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნას და მის დისკრედიტაციას - რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

თავი III. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 23-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დადასტურდეს შპს „დნას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რომელიც გამოიხატება სოციალურ ქსელ Facebook-ზე შპს „დიზაინ ჰაუსის“ რეპუტაციისა და ინტერესის შემლახველი ცნობების გავრცელებაში.

2. კანონდარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შპს „დნას“ დაევალოს - დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სოციალურ ქსელ Facebook-ის გვერდიდან იდენტური/მსგავსი პოსტის/პოსტების წაშლა, რომლებიც მომხმარებელს აწვდის არასწორ ინფორმაციას შპს „დიზაინ ჰაუსის“ შესახებ და რომელიც შეეხება კომპანიის საქმიანობის შეჩერების, მისი უკანონო საქმიანობის ან გარანტიის გაუცემლობის საკითხებს.

3. შპს „დნამ“ ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შესახებ კონკურენციის სააგენტოს წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს არაუგვიანეს 2018 წლის 15 ივნისისა.